ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29

2014 წლის 3 ოქტომბერი

ქ. გორი

,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის მეორე პუნქტის ”საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 63-ე მუხლის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ “ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №13 დადგენილებით (სსმ, ვებგვერდი, 08/08/2014; 010250050.35.174.016013) დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი შიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) სახელმწიფო შესყიდვებით განხორციელებული/მიმდინარე შესაბამისი სამუშაოების, მომსახურების ან/და საგნის ხარისხის კონტროლი, გარკვეულ სიტუაციებში შესაბამისი დასკვნების მომზადება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაპუნა კობერიძე